საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბაშინჯაღიანი გიორგი ზაქარიას ძე

ბაშინჯაღიანი გიორგი (გევორქ) ზაქარიას ძე [16 (28). IX. 1857, სიღნაღი, – 4. X. 1925, თბილისი], სომეხი ფერმწერი, პეიზაჟისტი.

ცხოვრობდა და მოღვაწეობდა საქართველოში. 1876 – 78 სწავლობდა თბილისში ნატიფ ხელოვნებათა წამახალისებელ კავკ. საზ-ბასთან არსებულ ხატვის სკოლაში, 1879 – 83 – პეტერბ. სამხატვრო აკადემიაში მ. კლოდტთან. 1884 იმოგზაურა იტალიასა და შვეიცარიაში.

1899 – 1902 მუშაობდა პარიზში. ბ-ის ნაწარმოებთა ძირითადი თემაა საქართვ. და სომხ. ბუნება: „მთა ყაზბეგი“, „მზესუმზირების მინდორი“, „გაზაფხული კავკასიაში“ და სხვ. შექმნა ნამუშევრები ვეფხისტყაოსნის მოტივებზე.

მისი სურათები ინახება საქართვ. ხელოვნ. მუზეუმსა და სომხ. ხელოვნ. გალერეაში.